აიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 03-995

ქ. თბილისი

23.08.2013

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის პროფესიულ ტესტირებაზე რეგისტრაციის ვადების გამოცხადებისა და პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 6 ნოემბრის №235/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-17 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 1 თებერვლის №03-65 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 23 აგვისტოს №626 ბრძანების, სატელევიზიო სასწავლო ცენტრის დირექტორის ზურაბ ოშხნელის 2013 წლის 23 აგვისტოს №03-13586/13 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის პირველ დანართში მითითებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველ სრული ზოგადი განათლების მქონე პირთა პროფესიულ ტესტირებაზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2013 წლის 25 აგვისტოდან 14 სექტემბრის ჩათვლით (მის.ჭავჭავაძის 32, ოთახი A306).
2. პროფესიულ ტესტირებაზე რეგისტრაციის მსურველმა პირებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის მოწმობა.
3. პირველ პუნქტში მითითებულ რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ - მარიკა გალოგრე და იოსებ მჭედლიშვილი.

4. ამ ბრძანების მესამე პუნქტში მითითებულ პირებს დაევალოთ რეგისტრაცია მოახდინონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტრენინგებზე მიღებული ინფორმაციის შესაბამისად.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის დირექტორს ზურაბ ოშხნელს.

6. უნივერსიტეტის სამდივნოს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

7. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

8. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები სამდივნოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრს.

რექტორი გიგი თევზაძე

დანართი 1

პროფესიული პროგრამა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	წლიური გადასახადი	ადგილების რაოდენობა
ფოტოგრაფია	ფოტოგრაფის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია	60	2250	30
საოპერატორო ხელოვნება	საინფორმაციო პროგრამის ოპერატორი - მემონტაჟის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია	120	2250	50
ჟურნალისტიკა	ტელერადიორეპორტიორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია	120	2250	53
კინოტელერეჟისურა	კინოტელერეჟისორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია	60	2250	20
მონტაჟის რეჟისურა	მონტაჟის რეჟისორის (მემონტაჟე, აუდიო-ვიზუალური გამოსახულების სპეციალისტი) მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია	60	2250	24